



საშუალო საფეხურის მოსწავლეთა მოტივაციის გაუმჯობესების გზების კვლევა სპორტში


საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის ანგარიში
ფიზიკური აღზრდისა სპორტის მასწავლებელი ეთერი ქიტუაშვილი



2019 წ.

სსიპ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ხაიშის საჯარო სკოლა

ჩემი პრაქტიკის კვლევის ანგარიშის წარდგენამდე მსურს მაგლობა გადავუხადო ჩემს კოლეგებს: მანანა კვიციანს, ნინო გელოვანს, ასმათ ჭკადუას, მია თევზაძეს და სხვებს კვლევის პროცესში აღმოჩენილი მორალური და ფიზიკური მხარდაჭერისთვის. განსაკუთრებით აღსანიშნავია ბავშვებისა და ახალგაზრდების წვლილი, რომელთაც მოგვცეს შესაძლებლობა, მოგვესმინა მათი მოსაზრებებისათვის და გაგვეთვალისწინებინა ეს მოსაზრებები კვლევის ანგარიშის მომზადების პროცესში.



ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი.....	3
თავი I	
საკვლევი საკითხის მომოხილვა	
1.1. აქტუალობის დასაბუთება	5
1.2. კვლევის მიზანი	7
1.3. კვლევის ამოცანები.....	8
თავი II	
ლიტერატურის მიმოხილვა.....	9
თავი III	
კვლევის დიზაინი	
3.1. საკვლევი კითხვები.....	12
3.2. სამიზნე ჯგუფი	12
3.3. კვლევის მეთოდები.....	13
3.4. მონაცემთა ანალიზი.....	15
3.5. ქმედებები/ინტერვენციები	22
თავი IV	
ინტერვენციების შეფასების ანალიზი	23
დასკვნა	27
ბიბლიოგრაფია	30
დანართები	31
რეფლექსია	35

შესავალი

წინამდებარე კვლევის ანგარიში ასახავს ჩემს მიერ განხორციელებული პრაქტიკის კვლევას, რომელიც ჩავატარე სოფელ ხაიმის საჯარო სკოლაში. სადაც ფიზიკურ აღზრდასა და სპორტს ვასწავლი 1989 წლიდან. აღსანიშნავია, რომ მრავალწლიანი მუშაობის შედეგად მივიღე საკმაო გამოცდილება, რომ ჩავწვდომოდი მოზარდების ინტერესებს და მოლოდინებს. გადავწყვიტე საკვლევ საკითხად შემერჩია **საშუალო საფეხურის მოზარდთა მოტივაციის გაზრდა და ჩაბმა სპორტულ ცხოვრებაში.**

განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ ინიცირებულია სპორტული ღონისძიებები (სპორტული ოლიმპიადა, ახალგაზრდული ფესტივალი, კოკა კოლას თასი), სადაც ჩართულია ათასობით მოზარდი, რამაც დადებითი გავლენა მოახდინა მათ ფიზიკურ განვითარებაზე, ასევე ესგ-ის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სტანდარტები ეფუძნება მოსწავლეთა საჭიროებებს.

სასკოლო სწავლებაში ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა მოტივაციის ფორმირება სწავლისადმი. სპორტის პედაგოგისათვის უმთავრესი ამოცანა უნდა გახდეს მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლება. მასწავლებლების უმრავლესობას ხშირად ავიწყდება დადებითი დამოკიდებულებისა და ინტერესების ფორმირება ფიზიკური ვარჯიშებისა და სპორტის გაკვეთილებისადმი.

მოტივაცია მოზარდს ნებისმიერ ასაკში სჭირდება, განსაკუთრებით კი პიროვნებად ჩამოყალიბების პერიოდში, როდესაც აქვს ბევრი დრო და შესაძლებლობა იმისა, რომ ცხოვრებისათვის სათანადოდ მოემზადოს.

მნიშვნელოვანია ბავშვს სჯეროდეს საკუთარი წარმატების. როგორც მასწავლებელი, ისე მშობელი ყოველთვის უნდა ასაზრდოებდეს ბავშვის რწმენას საკუთარ ძალებში და უნარებში. რაც უფრო დაბალია ბავშვის თვითშეფასება, მით უფრო ძლიერი და სისტემური უნდა იყოს უფროსების მხარდაჭერა.

საჯარო სკოლების საშუალო საფეხურზე ერთ-ერთ მთავარ პრობლემას წარმოადგენს სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ჩართულობის და აკადემიური მოსწრების დაბალი დონე. **პედაგოგიური პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მოსწავლეთა მოტივაცია სწავლების დაწყებით და საბაზო საფეხურზე უფრო მაღალია, ვიდრე საშუალო საფეხურზე.** თუ დაწყებით კლასებში მოსწავლეთა უმრავლესობა აქტიურად არის ჩართული საგაკვეთილო პროცესში, უკვე საშუალო საფეხურზე მოსწავლეთა მოტივაცია და ჩართულობა საგრძნობლად იკლებს.

ნაშრომში განხილულია მოზარდთა მოტივაციისა და ჩართულობის პრობლემის გზების ძიება და მისი გაზრდის ხელშესაწყობად დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობები, კვლევის შედეგებზე დაფუძნებული რეკომენდაციები. თუ გავითვალისწინებთ საქართველოს სპორტის ისტორიას და მემკვიდრეობას, გასაგები ხდება, თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო და არის ერის გაჯანსაღება და წინსვლა სპორტულ ასპარეზზე.

ჩემს მოსწავლეებთან ჩატარებული კვლევის ანგარიშის შედეგად ჩამოყალიბებული დასკვნები და რეკომენდაციები, ვფიქრობ, საინტერესო იქნება არა მარტო ჩემთვის, არამედ ზოგადად პედაგოგებისათვის. მათი გათვალისწინებისა და სასწავლო პროცესში დანერგვის შედეგად ამაღლება მოსწავლეთა მოტივაცია და გაიზრდება სწავლების დონე საშუალო საფეხურზე.

კვლევაში ასახულია ჩემს მიერ განხორციელებული კვლევის შედეგად მოპოვებული შედეგები და დასკვნები, რომელთა ანალიზი იძლევა საშუალებას დავადგინოთ, როგორია მოსწავლეთა დამოკიდებულება სპორტის მიმართ, რა ინტერესები და მოლოდინები აქვთ, რომელი სპორტია მათთვის პრიორიტეტული და ესაჭიროებათ თუ არა დახმარება.

თავი I

საკვლევი საკითხის მომოხილვა

1.1. პრობლემის იდენტიფიცირება და კვლევის აქტუალობა

თუ გავითვალისწინებთ ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების გამო მოზარდების უმოქმედობას და ჯდომას კომპიუტერთან, გასაგები ხდება თუ რამდენად აქტუალურია ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება მოზარდებში, რასაც თან ახლავს გარკვეული სირთულეები.

სპორტის მიმართულებით კვლევის ჩატარების აუცილებლობა იმაში მდგომარეობს, რომ ქართულ სპორტში არსებული მრავალმხრივი პრობლემების გადასაჭრელად აუცილებელია ზუსტად იყოს გამოვლენილი ის პრობლემები, რაც ყველაზე მეტად აფერხებს სპორტის განვითარებას. პრობლემების გამოსავლენად საჭიროა მრავალმხრივი კვლევა და ეს კვლევაც სწორედ ამ მიზანს ემსახურება. კვლევაში ასახულია მოსწავლეების, მშობლებისა და მასწავლებლების აზრი სპორტთან დაკავშირებით, რომელიც მოიცავს სხვადასხვა მიმართულებებს, ესენია:

- სპორტის განვითარებისთვის საჭირო გზები;
- სპორტში მოზარდების ჩაბმის ხელისშემშლელი ფაქტორები;
- ინფრასტრუქტურის გაუმართაობა;
- არაფორმალური განათლება (სპორტული წრე, სპორტული კლუბი);
- შეჯიბრებების როლი მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებაში;
- გარდატეხის ასაკის ფაქტორი;

მოსწავლეების ჯანმრთელობა არის პრიორიტეტული მიმართულება სახელმწიფო პოლიტიკის განათლების სფეროში. სოციალური გარემო და რეალობა მოწმობს მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუარესებას. თანამედროვე ბავშვების უმრავლესობას აქვს „მომრაობის დეფიციტი“, მათი მოძრაობის ხანგრძლივობა დღის განმავლობაში არის ასაკობრივ ნორმაზე დაბალი. სკოლაში და სახლში დროის დიდ ნაწილს ატარებენ მაგიდასთან, ტელევიზორთან, კომპიუტერთან და ა. შ. ეს ზრდის დატვირთვას განსაზღვრული კუნთების ჯგუფზე და იწვევს მათ გადაღლას. ხდება ძალისა და შრომისუნარიანობის დაქვეითება, რომელიც გამოიხატება ტანდებობის დარღვევით, ხერხემლის გამრუდებით, ბრტყელტერფიანობით, ქვეითდება კოორდინაციის, სისწრაფის, მოქნილობის, ამტანობის ასაკობრივი განვითარება.

სტაციონარული პერსონალური კომპიუტერის შემდგომ ლეპტოპების, პლანშეტების, სმარტფონების და სხვა მრავალი მინი სათამაშო გაჯეტების გავრცელებამ გამოიწვია კომპიუტერული თამაშების მომხმარებელთა

რიცხოობრიობის მასიური გაზრდა. ვირტუალურ თამაშებს შეუძლიათ გამოიწვიონ ისეთი დამოკიდებულება, როგორც სხვა მრავალ აზარტულ თამაშებს. ერთადერთი რაშიც ვეთანხმებით მრავალთ, რომ თამაშები არა მარტო ითრევენ თავის ფანებს, არამედ ართმევენ მათ უზარმაზარ დროის რესურსს. ამდენი დაკარგული საათი შეიძლება რომ ადამიანმა გამოიყენოს უფრო პროდუქტიულად და სასარგებლოდ პიროვნული ზრდა-განვითარებისთვის.

კონკრეტულ საკითხზე „სპორტული აქტივობაში საშუალო საფეხურის მოსწავლეთა მოტივაცია და ჩართულობა“, კვლევის ჩატარება გადამაწყვეტინა ჩვენი სკოლის საჭიროებამ. მიუხედავად უამრავი კვლევისა, 21 - ე საუკუნის პრობლემა გადაუჭრელია თანამედროვე სკოლის ცხოვრებაში. **ამიტომ ჩემი კვლევა, აქტუალურია, რომელშიც ჩართულია, როგორც საშუალო საფეხურის მოსწავლეები, ასევე მშობლები და მასწავლებლები. შესაბამისად კვლევის შედეგები იქნება უფრო სიღრმისეული და თვალსაჩინო.**

კვლევაში ასახულია ჩემ მიერ განხორციელებული კვლევის შედეგად მოპოვებული შედეგები და დასკვნები, რომელთა ანალიზი იძლევა საშუალებას დავადგინოთ, როგორია მოსწავლეთა დამოკიდებულება ჯანსაღი ცხოვრებისადმი და სპორტისადმი, რამდენად განაპირობებს ეფექტურად შერჩეული მეთოდი სპორტში ჩართულობის ამაღლებისთვის მოსწავლეთა მოტივაციის ზრდას.

1.2. კვლევის მიზანი

წინამდებარე კვლევის მიზანია, განვახორციელო მოზარდთა მოტივაციის შეფასება სპორტის მიმართულებით და გამოვკვეთო ძირითადი საჭიროებები და წარვადგინო შესაბამისი რეკომენდაციები მოზარდთა მოტივაციის გაუმჯობესების მიზნით.

ჩემი კვლევის მიზანი იყო დამედგინა, რომელი მეთოდები და სტრატეგიები დაეხმარებოდა ჩემს მოსწავლეებს საშუალო საფეხურზე შეენარჩუნებინათ ის მოტივაცია და ჩართულობა რაც ჰქონდათ დაწყებით და საბაზო საფეხურზე.

კვლევაში ასახულია ჩემ მიერ განხორციელებული კვლევის შედეგად მოპოვებული შედეგები და დასკვნები, რომელთა ანალიზი იძლევა საშუალებას დავადგინოთ, როგორია მოსწავლეთა დამოკიდებულება ჯანსაღი ცხოვრებისადმი და სპორტისადმი, რამდენად განაპირობებს ეფექტურად შერჩეული მეთოდი სპორტში ჩართულობის ამაღლებისთვის მოსწავლეთა მოტივაციის ზრდას.

მიუხედავად იმისა, რომ დაწყებით და საბაზო საფეხურზე მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართული სპორტულ ცხოვრებაში, რაც გამოიხატება მათი წარმატებული მონაწილეობით შიდა სასკოლო და ეროვნულ სასკოლო სპორტულ ოლიმპიადაში, საშუალო საფეხურზე გადასვლისას რადიკალურად იცვლება მათი აქტიურობა, დაბალია მათი მოტივაცია და ჩართულობა სპორტის გაკვეთილზე. სწორედ ამიტომ ჩემი კვლევის მიზანს წარმოადგენს საშუალო საფეხურის მოსწავლეების სპორტული აქტივობაში ჩართულობის დონის განსაზღვრა და მოტივაციის ამაღლების გზების ძიება ხაიშის საჯარო სკოლაში. **კვლევის საგანია** მოტივაციის გაზრდა მოზარდებში.

კვლევას რომ შედეგი ჰქონდეს, პირველ რიგში უნდა ჩამოვყალიბოთ **პრობლემის სავარაუდო მიზეზები**. სპორტული აქტივობების დაბალი ხარისხის სავარაუდო მიზეზი არის შემდეგი:

1. მოუწყობელი ინფრასტრუქტურა;
2. მოსწავლეთა არამოტივირებულობა;
3. ფინანსები;
4. ასაკობრივი (16-17 წწ.) სპორტული ღონისძიებები;
5. ინტერნეტთამაშები;
6. თავისუფალი დროის დეფიციტი (წრეები, რეპეტიტორები, ოჯახური პრობლემები და სხვა).

1.3. კვლევის ამოცანები

კვლევის ძირითადი ამოცანაა: გამოვიკვლიო მოსწავლის მოტივაციის სფერო, რაშიც დამეხმარება:

1. მეორეული ინფორმაციის დამუშავება;
2. კვლევის მეთოდებისა და ინსტრუმენტის შემუშავება;
3. განვსაზღვრო სკოლის მოზარდების მოტივაციის მნიშვნელობა;
4. განვსაზღვრო სკოლის მოზარდების მოტივაციის სფერო;
5. მოსწავლეების, მასწავლებლებისა და მშობლების გამოკითხვა და ჩაღრმავებული ინტერვიუ კოლეგებთან;
6. შერჩევითი დაკვირვება;
7. კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების დამუშავება და ანალიზი;

II თავი

ლიტერატურის მიმოხილვა

კვლევის საჭიროებებიდან გამომდინარე მოვიძიე ლიტერატურა, როგორც ნაბეჭდი, ისე ინფორმაციულ საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საშუალებით. მოტივაციის შესახებ ინფორმაცია მრავალფეროვანია, მაგრამ კონკრეტულად სპორტის მიმართულებით მწირია.

მიუხედავად იმისა, რომ მოტივაციის ფსიქოლოგებს ამ კითხვაზე ძალიან ბევრი და ხანდახან აბსოლიტურად სხვადასხვანაირი პასუხი აქვთ, ერთი რამ, რაც ყველა ამ პასუხს აერთიანებს, არის ის, რომ მოტივაცია მოიცავს პიროვნების საჭიროებებსა და მიზნებს, ისე როგორც სტიმულაციას გარემოდან. „ლექსიკონი-ცნობარიდან სოციალურ მეცნიერებებში“ მიხედვით მოტივაციის ცნება ლათინური ენიდან მომდინარეობს, კონკრეტულად სიტყვიდან „movere“, რაც მოძრაობას, მიზნისკენ სწრაფვას, მიმართულების მიცემას გულისხმობს.

მოტივაციისათვის არ არსებობს ერთი საუკეთესო ხერხი. ის რაც ადამიანთა ერთი ნაწილის მოტივაციისთვის ეფექტიანია, მეორე ნაწილისათვის შეიძლება აღმოჩნდეს სრულიად უმნიშვნელო. ადამიანთა მოტივაციაში დიდი როლი ეკისრება გასამრჯელოს. ამ ცნებას მორტივაციისაგან დამოკიდებულებით უფრო მეტი დატვირთვა აქვს, ვიდრე ფული ან სიამოვნებაა, რომლებთანაც ხშირად ჩნდება მისი ასოცირება.

მოტივაცია - ეს არის მოთხოვნილება ან სურვილი, რომელიც მუშაობს, რათა აქტიური გახადოს ქმედება და მიმართოს იგი განსაზღვრული მიზნის მისაღწევად. მოტივაციის პრობლემის კვლევით იყვნენ დაკავებული მარკოვა, მატუხინა და სხვანი. თუმცა თანამედროვე პირობებში სოფლის სკოლის მოზარდების მეცადინეობისადმი მოტივაციის პრობლემა ნაკლებადაა შესწავლილი.

მაგრამ როგორ მოვიქცეთ მაშინ, თუ ბავშვი პასიურია და საერთოდ არ იჩენს არაფრის მიმართ ინტერესს? როგორ ველაპარაკოთ? აქ დიდი სიფრთხილე გვმართებს. გამოირიცხება ბავშვზე ზეწოლა. მოტივაციის გაზრდისათვის შესაძლებელია ფარული კარნახის გამოყენება. (ირმა კახურაშვილი, 2016)

მოტივაციის შინაარსობრივი თეორიების მიზანია ადამიანთა მოქმედების განმსაზღვრელი მოთხოვნილებების გამოვლენა. მოტივაციის თანამედროვე შინაარსობრივი თეორიის ფუძემდებლები არიან ა. მასლოუ, ფ. ჰერცბერგი და დ. მაკკლელანდი.

ერთ-ერთი პირველი ბიჰევიორისტი, რომელიც დაინტერესდა ადამიანთა მოთხოვნილებებით, იყო ა. მასლოუ. მისი შრომებიდან პირველად გახდა ცნობილი

ხელმძღვანელებისათვის, რომ ადამიანთა მოთხოვნილებები იყო რთული და გავლენას ახდენდა მოტივაციაზე.

სპორტის ექსპერტების აზრით, განსაკუთრებით შემაშფოთებელია ბავშვთა და მოზარდთა ჯანმრთელობის გაუარესება. მათ დიდ ნაწილს აღენიშნება ფიზიკური განვითარებისა და ჯანმრთელობის დარღვევები. მოზარდთა თაობაში განსაკუთრებით პროგრესირებს გულის რევმატული დაავადებები, ჰიპერტონიული დაავადება, ნევროზი, ართრიტი, სკოლიოზი. ვითარებას ამძიმებს ბავშვებსა და ახალგაზრდებში სხვადასხვა არაფიზიკური გასართობის (ავტომატური და კომპიუტერული თამაშების, ტოტალიზატორის და სხვ.) მზარდი პოპულარობა.

იურიდიული თვალსაზრისით მოსაგვარებელია ბავშვთა სპორტის შემდგომი განვითარების პრობლემა. ფინანსური სირთულეების, სუსტი მატერიალური ბაზისა და კვალიფიციური კადრების ნაკლებობის გამო სასწავლო-საწვრთნელი მუშაობის ხარისხი ყოველგვარი ტიპის სპორტულ სკოლებსა თუ სპორტულ კლუბებში დაქვეითებულია. არასაკმარისია ახალგაზრდა სპორტსმენთა საშეჯიბრებო გამოცდილებაც. ერთ-ერთი მთავარი და ხელშესახები პრობლემა ადგილობრივი ბავშვებისთვის სპორტის ხელმისაწვდომობაა.

ხშირად, როგორც სპორტის პედაგოგებისთვის, ასევე მშობლებისთვის დიდი და რთული გამოწვევაა, როდესაც მოსწავლეს სპორტის სწავლებისადმი ინტერესი საერთოდ არ აქვს და ბავშვი ფიზიკური აქტივობის დროს ვერ კონცენტრირდება. ეს პირველყოფლისა და მოზარდის ხასიათისა და ბუნების ნაწილი შეიძლება იყოს, მაგრამ რაკი სპორტი ჩვეულებრივი სასწავლო დისციპლინაა და იგი (გამონაკლისების გარდა) ძირითადად ფიზიკურ აქტივობებს გულისხმობს, მოსწავლის სპორტით დაინტერესება მნიშვნელოვანი და აუცილებელი საქმეა.

სპორტით ნაკლებად დაინტერესებულ ადამიანებს, როგორც წესი, მიაჩნიათ, რომ სპორტი (ნებისმიერი სახეობა) მხოლოდ ფიზიკურ აქტივობას მოიცავს და ფიზიკური ჯანმრთელობის ხარისხის გაუმჯობესებაზე მეტი ფუნქცია არ გააჩნია. ცნობილი ქართველი მძლეოსნობის სპეციალისტი და მწვრთნელი, ავთანდილ ბერიძე კი ამბობს, რომ სწორედ ასეთი დამოკიდებულება იწვევს მოზარდების სპორტისადმი გულგრილობას. იგი იმასაც ამბობს, რომ ბავშვისათვის საუკეთესო მაგალითის მიმცემი მშობელია და როდესაც მოზარდი ხედავს, რომ მშობლები ყოველდღიურად ვარჯიშობენ და სპორტით არიან დაკავებულნი – მასაც აუცილებლად გაუჩნდება იმავეს გაკეთების სურვილი.

აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ საქართველოში ასევე არსებობენ პედაგოგები, რომლებსაც საკუთარი ინიციატივითა და ზოგჯერ საკუთარი სახსრებითაც კი, მოსწავლეები სტადიონებზე დაჰყავთ და ბევრი ადამიანი უკვე დიდობაში ძალიან კარგად იხსენებს ამბებს, რომლებიც დიდ სპორტთან მათ პირველად შეხებას

უკავშირდება. ამ დროს, ზოგს ხშირად ავიწყდება, რომ სპორტი ნებაყოფლობითია და ნამალადევად სტადიონზე სიარულით შესაძლოა ბავშვმა არამხოლოდ სპორტის რომელიმე სახეობისადმი ინტერესი დაკარგოს, არამედ ზოგადად სპორტი შესძულდეს. კარგი და დადებითი ინიციატივები საშური საქმეა და განსაკუთრებით სასიხარულოა, როდესაც ასეთ ინიციატივებს პედაგოგები იჩენენ, მაგრამ ეს ყველაფერი არც ერთი ბავშვის იძულებად არ ღირს. იძულება სპორტს ყველაზე ნაკლებად უხდება.

მნიშვნელოვანია ბავშვს სჯეროდეს საკუთარი წარმატების. როგორც მასწავლებელი, ისე მშობელი ყოველთვის უნდა ასაზრდოებდეს ბავშვის რწმენას საკუთარ ძალებში და უნარებში. რაც უფრო დაბალია ბავშვის თვითშეფასება, მით უფრო ძლიერი და სისტემური უნდა იყოს უფროსების მხარდაჭერა.

როდესაც მოსწავლეს აქვს გარკვეული საგანმანათლებლო პრობლემები, მასწავლებელი ვალდებულია აქტიურად ითანამშრომლოს კოლეგებთან, იკვლიოს არსებული სიტუაცია და დააკვირდეს, მოსწავლეს ერთი საგნის ფარგლებში შეთავაზებული მასალის დამლევა უჭირს მხოლოდ, თუ სხვა საგნების შემთხვევაშიც იკვეთება მსგავსი პრობლემები.

მოსწავლეთა მოტივაცია დამოკიდებულია ბევრ ფაქტორზე: ასაკობრივი, სქესობრივი, ინდივიდუალური თავისებურებები. მაგ. გოგონებს აინტერესებთ სხეულის ლამაზი აღნაგობა (85%), სიარულის მანერა (70%), ბიჭებს უნდათ განივითარონ ძალა (87%) და ამტანობა (75%). მოტივაცია შედგება შინაგანი და გარეგანი კონცეფციისგან (რეანი ა.ა., 2005). **შინაგანი მოტივაციაა** როდესაც მოქმედებები თვითონ პიროვნებისთვის არის მნიშვნელოვანი. **გარეგანი მოტივაცია** - ეს არის მოტივაციის ყველაზე უფრო გავრცელებული ფორმა, ეგრეთ წოდებული გარეგანი მოტივაცია, როცა ადამიანი შესაბამის მოქმედებას ან სამუშაოს ასრულებს გარეგანი ზემოქმედების ან მოთხოვნის შესაბამისად, ჯილდოს მიღების, ან დასჯის შიშის გამო.

III თავი

კვლევის დიზაინი

3.1 საკვლევი კითხვები

კვლევის ძირითადი კითხვა: რა არის საშუალო საფეხურის კლასებში სპორტში ჩართულობისა და მოტივაციის დაქვეითებასთან დაკავშირებული სირთულეების მთავარი მიზეზები და როგორ დავძლიოთ აღნიშნული პრობლემა?

რა არის ხელისშემშლელი ფაქტორები?

რისი ბრალია, რომ ნიჭიერი მოზარდები შემდგომ ეტაპზე ვეღარ ვითარდებიან? ქვეკითხვები:

- ✓ რა უშლის ხელს ბავშვთა სპორტის განვითარებას?
- ✓ არის თუ არა ამ ყველაფრის მიზეზი ყბადაღებული უფულობა – სახელმწიფოსა თუ კერძო კომპანიების მიერ სპორტში ჩადებული ფულის სიმცირე?
- ✓ გადატვირთულები არიან თუ არა გაკვეთილებით?
- ✓ რომელი სპორტული აქტივობა გაზრდის მათ ჩართულობის ხარისხს?
- ✓ როგორი ტიპის გაკვეთილი იქნება მათთვის საინტერესო და სახალისო?
- ✓ რა არის მათი მოტივაციის დაქვეითების მიზეზი?
- ✓ რამდენად მნიშვნელოვანია სპორტი მათთვის?
- ✓ რა სირთულეებს აწყდებიან?
- ✓ აქვთ თუ არა საშუალება და პირობები სკოლის დათავრების შემდეგ გააგრძელონ სპორტში მოღვაწეობა?

3.2. კვლევის სამიზნე ჯგუფი

1. საშუალო საფეხურის მოსწავლეები;
2. მშობლები;
3. საშუალო საფეხურის პედაგოგები;

3.3. კვლევის მეთოდები

კვლევის მონაცემთა შეგროვების მიზნით გამოვიყენე **რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევის მეთოდები**. ამ ტიპის მეთოდებით კვლევამ შესაძლებლობა მომცა მეტად რელევანტურად გამომეკვეთა მნიშვნელოვანი ასპექტები და კვლევის პროცესში შემეტანა ცვლილებები კვლევის საჭიროებებიდან გამომდინარე.

თვისობრივი კვლევის ინსტრუმენტებად გამოვიყენე ფოკუსჯგუფი და ინტერვიუები.

რაოდენობრივი კვლევის ინსტრუმენტებად გამოვიყენე შერეული ტიპის კითხვარი(ღია და დახურული).

ფოკუსჯგუფი შევარჩიე საშუალო საფეხურის მოსწავლეებისგან. მიზანი იყო საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა მოტივაციის და ჩართულობის დონის შესწავლა.

სიღრმისეული ინტერვიუ ჩავატარე დამრიგებლებთან და კლასის პედაგოგებთან, რამაც საშუალება მომცა შემეგროვებინა ინფორმაცია:

- რა სტრატეგიებს იყენებენ გაკვეთილზე მოსწავლეთა ჩართულობის და მოტივაციის დონის გასაზრდელად;

მეორეული ინფორმაციის დამუშავების, კვლევის მეთოდებისა და რესპოდენტების შერჩევის შედეგად შემუშავდა კვლევის ინსტრუმენტი. სიღრმისეული ინტერვიუ და კითხვარი.

მონაცემების შეგროვება

მონაცემთა შეგროვება განხორციელდა შემდეგი მეთოდების გამოყენებით: კვლევის საწყის ეტაპზე გამოყენებული იქნა **ჩართული დაკვირვება**, კერძოდ კი **ფოკუსირებული დაკვირვება**. კვლევის ფარგლებში მოსწავლეებს ვაკვირდებოდი, რომელი სქემის გამოყენებისას იზრდებოდა მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში

ფოკუსჯგუფი - მოწავლეებთან. მისი მიზანი იყო კოლეგების დამოკიდებულებების გარკვევა საშუალო საფეხურის მოსწავლეებისადმი, რა მეთოდებსა და სტრატეგიებს იყენებენ მეცადინეობის პროცესში. ფოკუსჯგუფზე დაკვირვების შედეგად საშუალება მომცა შემედგინა კითხვარი გამოკითხვისთვის.

დაკვირვება- კვლევის პროცესში აღნიშნული მეთოდი გამოვიყენე იმის გასარკვევად, თუ რომელი აქტივობა ეხმარებათ მოსწავლეებს მოტივაციის გაზრდაში.

შერჩევა - მიზნობრივი, ვინაიდან მოსწავლეთა მოსაზრებების, ინტერესებისა და სურვილების გათვალისწინება სასწავლო პროცესში ძალიან მნიშვნელოვანია, შევარჩიე საშუალო საფეხურის მოსწავლეები, რადგან მათი აზრი საინტერესო იყო კვლევის პროცესში. კითხვარის საშუალებით გამოიკვეთა ის რამდენიმე აქტივობა, რომელიც ყველაზე მეტად მოსწონთ მოსწავლეებს სასწავლო პროცესში.

ფოკუსირებული დაკვირვება გაკვეთილზე - მოსწავლეებთან გამოკითხვის შედეგად გამოკვეთილი უნარის განმავითარებელი სტრატეგიების გამოყენებისას, რამდენად იყვნენ ჩართულნი მოსწავლეები და რომელი აქტივობა უფრო მეტი სიამოვნებითა და ხალისით შეასრულეს.

საკვლევი გარემო - კვლევის პროცესი მიმდინარეობდა რამდენიმე თვის განმავლობაში ოქტომბრიდან მაისის ჩათვლით სასკოლო და არაფორმალურ გარემოში, ვარჯიშისა და შეჯიბრების პერიოდში.

კვლევის ვადები

კვლევა დაიგეგმა 2018-2019 სასწავლო წლის I-II სემესტრში. (1 ოქტომბერი - 30 მაისი)

3.4. მონაცემთა ანალიზი

მასწავლებელთა კითხვარის ანალიზი


დანართი2

გამოკითხვაში მონაწილეობდა 12 მასწავლებელი


სკოლაში პედაგოგების გამოკითხვის მიზანი იყო დაგვედგინა, თუ რა არის მოსწავლის ასაკის მატებასთან ერთად მოტივაციის დაქვეითების მიზეზი და როგორ წარმოუდგენიათ აღნიშნული პრობლემების მოგვარების გზები.

მასწავლებელთა მიერ შევსებული კითხვარების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ:


1. მასწავლებელთა 92% -ს მიაჩნია, რომ მოსწავლესთვის აუცილებელია გარეგანი მოტივაცია, მხოლოდ 8 % თვლის, რომ საკმარისია შინაგანი მოტივაცია.




2. მასწავლებელთა 83% ფიქრობს, რომ სპორტში ვარჯიშს უშლის ფინანსური მდგომარეობა, ხოლო 17 % - ოჯახი.



3. სპორტულ აქტივობაში ნაკლებად ჩართულობის მიზეზს - ინტერნეტთამაშებს, ასახელებს მასწავლებელთა 83 %, ხოლო თავისუფალი დროის დეფიციტს -17 %.



4. კითხვაზე: როგორ შევუწყოთ ხელი მოტივაციის გაზრდას? მასწავლებელთა 58% თვლის, რომ უნდა ჰქონდეთ რესურსებისა და ინვენტარის მრავალფეროვნება, 17-17% - სპორტულ შეჯიბრებებს და სპორტული წრეების ფუნქციონირებას, ხოლო -8 % თვლის რომ თავისუფალი დროის მომატება გაზრდის მოტივაციას.




მოსწავლეთა კითხვარის ანალიზი

დანართი1


გამოკითხულია სულ: 21 მოსწავლე, გოგონა--9, ვაჟი -- 12

მოსწავლეების მიერ შევსებული კითხვარების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ:


1.მოსწავლეთა 48 %- დაკავებულია ფეხბურთით, 19 % - ფრენბურთით, 14 % - კალათბურთით, სხვა აღნიშნა - 9 % , ხოლო 10% აღნიშნავს, რომ არცერთი სპორტის სახით არ არის დაკავებული.




2. მოსწავლეთა დიდი ნაწილი - 43 % ვარჯიშობს სპორტულ მოედანზე, სახლში ვარჯიშობს 28%, სპორტულ სექციაში 19 %, 5-5% - სატრენაჟორო დარბაზში და არსად არ ვარჯიშობს.




3. ვინც არ ვარჯიშობს, მათგან 60 % თვლის, რომ არ აქვს თავისუფალი დრო, ხოლო 40 % ასახელებს სხვა მიზეზს.



4. კითხვაზე, რა შეიძლება იყოს ხელისშემშლელი, რომ დაკავდნენ სპორტით, 34 % - აღნიშნავს, რომ სპორტული ჯგუფების სიმცირეა, 19-19% თვლის, რომ ინფრასტრუქტურაა გაუმართავი და ასახელებს სხვა მიზეზს, 14-14% - აღნიშნავს, რომ ასაკობრივი შეჯიბრებების სიმცირეა (16-18 წწ), და არის მომავლის უპერსპექტივობა.



5. მოსწავლეთა 73 % ვარჯიშობს, რადგან ჯანსაღი ცხოვრების წესს მისდევს, 14 % - უნდა ცნობილი სპორტსმენი გახდეს, 13 % - უნდა კარგად გამოიყურებოდეს.



ღია კითხვაზე: რამ შეიძლება გაზარდოს თქვენი მოტივაცია? მოსწავლეებმა აღნიშნეს, რომ უნდა ტარდებოდეს მეტი შეჯიბრებები, სადაც არ უნდა იყოს ასაკობრივი შეზღუდვა, გამართული უნდა იყოს ინფრასტრუქტურა, „ასევე დავისახოთ მიზანი: შეჯიბრებებში გამარჯვებაც მოტივაციის წყაროა“, სპორტული სექციები და სპორტული ინვენტარი, მეტი აქტივობები და შეჯიბრებები, საფეხბურთო მოედნის რეკონსტრუქცია და ა. შ.


მშობელთა კითხვარების ანალიზი

დანართი 3

გამოკითხულია სულ 15 მშობელი


მშობლების მიერ შევსებული კითხვარების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ:

1. კითხვაზე: რა უნდა გაკეთდეს მოზარდის სპორტში ჩართვისთვის და მოტივაციის გაზრდისთვის? 73 % თვლის, რომ სპორტული მოედნები და დარბაზები უნდა იყოს სათანადო ინვენტარით აღჭურვილი, 13 % აღნიშნავს გარეგანი მოტივაციის გამოყენებას, 7-7 % - ხელმისაწვდომი სპორტული სექციები და ასაკობრივი სპორტული შეჯიბრებები;
2. მშობლების 46 % აღნიშნავს, რომ თავისუფალ დროს მისი შვილი ტელევიზორთან/კომპიუტერთან ატარებს, 40 % - სპორტით არის დაკავებული, 7-7 % - დადის წრეზე და კითხულობს;



საინტერესო ფაქტი გამოიკვეთა მშობელთა გამოკითხვით:

3. რამდენად ხართ დაინტერესებული შვილების სპორტული აღზრდით? მშობლების 100 % პასუხობს - ჯანმრთელობისთვის;



ღია კითხვაზე: მშობლების უმეტესობა ასახელებს სპორტული დარბაზების აღჭურვას სათანადო ინვენტარით, შეჯიბრებების ჩატარებას სპორტული სექციების ჩამოყალიბებას.

მშობელთა გამოკითხვით გამოიკვეთა, რომ მათ სპორტი აინტერესებთ მხოლოდ შვილების ჯანმრთელობისთვის და მომავლისთვის და კარიერისთვის არ აინტერესებთ. სავალალო შედეგია კითხვაზე, თუ სად ატარებენ მათი შვილები თავისუფალ დროს, რაზეც უმრავლესობა პასუხობს, რომ თამაშობენ კომპიუტერთან.

კვლევის მიგნებები

მონაცემთა ანალიზისას გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი მიგნება:

- მოსწავლეთა დაბალი მოტივაცია;
- დროის დეფიციტი;
- კომპიუტერთან მიჯაჭვულობა (ჰიპოდინამია);
- ასაკობრივი (17-18წწ.) შეჯიბრებები;
- პროფესიული უპერსპექტივობა;

3.5. ქმედებები/ ინტერვენციები

კვლევის პროცესში მიღებული დაკვირვებისა და წარმოებული მუშაობის (ინტერვიუები, დისკუსიები, კითხვარები) საფუძველზე გამოიკვეთა საშუალო საფეხურის მოსწავლეთათვის დამახასიათებელი დაბალი შინაგანი მოტივაცია. რაც გარდატეხის ასაკისთვის დამახასიათებელი თავისებურებებია. როცა მიმდინარეობს სქესობრივი მომწიფების პერიოდი, მოზარდი იწყებს საკუთარი თავის შეცნობას, ახალი ღირებულებებისა და ახალი ქცევების ჩამოყალიბებას, ეს ყველაფერი გავლენას ახდენს მათ შინაგან მოტივაციაზე.

კვლევის პროცესში მიღებული შედეგების გაანალიზების შედეგად დავგეგმე შემდეგი ინტერვენციები:

- სამუშაო შეხვედრები კოლეგებთან, გამოცდილების გაზიარება;
- მოტივაციის ასამაღლებელი საშუალებების გამოყენება გაკვეთილებზე;
- სპორტის გაკვეთილები მრავალფეროვანი აქტივობებით;
- მოწყობილი ინფრასტრუქტურა;
- ამხანაგური შეჯიბრებები;
- გასვლითი გაკვეთილები;
- სპორტული წრის ჩამოყალიბება;
- სასკოლო შეჯიბრებების ორგანიზება (ორგანიზატორები საშუალო საფეხურის მოსწავლეები);
- მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინება;

თუ მოსწავლეთა ინტერესებს მოვარგებთ სასწავლო სტრატეგიებს, ისინი უფრო მეტად იქნებიან თავდაჯერებულები. სასურველია და დადებითი შედეგების მომტანია, თუ მოსწავლეებს მივცემთ მსჯელობის, სიტუაციის გაანალიზების, დასკვნების გაკეთების და პრობლემის გადაჭრის საშუალებას.

IV თავი

4.1. ინტერვენციების შედეგები და შეფასების ანალიზი

ინტერვენციების განხორციელებამ მოსწავლეებისთვის დადებითი შედეგი გამოიღო. დაკვირვებამ აჩვენა, რომ მოსწავლეები აქტიურად იყვნენ ჩართული სპორტულ აქტივობებში, განსაკუთრებით ხალისით გაუკეთეს ორგანიზება საბაზო საფეხურის მოსწავლეთა შეჯიბრს, ასევე მოამზადეს და ჩაატარეს საქველმოქმედო კონცერტი. შემოსული თანხა მოხმარდა ფორმების შექმნას ჩვენი საჯარო სკოლის გოგონათა ფეხბურთის გუნდისთვის, რომელმაც გაიმარჯვა მუნიციპალურ თამაშებში და წინასაშეჯიბრო მომზადებას გადიოდნენ „კოკა კოლა 2019“ - თვის. ჩატარდა მეგობრული შეხვედრა ფეხბურთში და ფრენბურთში მარაბდის საჯარო სკოლის მოსწავლეებთან და დაგრძელები გვაქვს ლაშქრობა მარშრუტით: „ხაიში-მარაბდა“.

ვფიქრობ, კვლევის ფარგლებში განხორციელებული ინტერვენციები დადებითად აისახება მოსწავლეთა შედეგებზე.

ინტერვენციის შეფასების მიზანს წარმოადგენდა, გამეგო:

- იძლევა თუ არა შემუშავებული ინტერვენციების სახეები მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხის გაზრდას საგაკვეთილო პროცესში;
- გაზრდის თუ არა მოსწავლეთა ჩართულობას მრავალფეროვანი აქტივობებით დატვირთული გაკვეთილები;
- რამდენად ეფექტური იქნება მოსწავლეების მიერ ორგანიზებული შეჯიბრის ჩატარება;

იმისათვის, რომ დამედგინა, პედაგოგთა შორის პრობლემების ერთობლივად განხილვამ დადებითი შედეგი გამოიწვია თუ არა, შევხვდი მასწავლებლებს, გავესაუბრე და დავესწარი გაკვეთილებს, რის შედეგად გამოიკვეთა, რომ უფრო მეტად ცდილობდნენ აქტივობები მოერგოთ მოსწავლეთა საჭიროებებისთვის, ცდილობდნენ მრავალფეროვანი აქტივობებით გაემდიდრებინათ გაკვეთილები.

მასწავლებლების გამოკითხვამ აჩვენა, რომ სამუშაო შეხვედრები მათთვის შედეგიანი იყო, რადგან გაიხსენეს და გამოიყენეს მოტივაციის ამაღლების საშუალებები, რაც დაეხმარათ გაკვეთილების უკეთ წარმართვაში.

მოსწავლეთა მიერ შევსებული კითხვარის ანალიზის შედეგად დავგეგმე ისეთი აქტივობები, რომელიც თანამშრომლობითი უნარების გააქტიურებას უწყობდა ხელს:

- მაღალი კლასის მოსწავლეების მიერ შეჯიბრის ორგანიზება და ჩატარება;
- საქველმოქმედო კონცერტი;

- გასვლითი გაკვეთილი - ლაშქრობა (დაგეგმილი გვაქვს სასწავლო წლის ბოლოს);
- ამხანაგური შეჯიბრებები;
- დისკუსია - ერთის მხრივ, ხელს შეუწყობს მოსწავლეთა შორის თვითშეფასების უნარის ამაღლებას, მეორეს მხრივ, იმ მოსწავლეების ჩართვას გაკვეთილში, რომლებიც ნაკლებად აქტიურები არიან.

მოსწავლეები, რომლებიც გაკვეთილზე ნაკლებად იყვნენ ჩართული, ჩავრთე შეჯიბრის ორგანიზებაში და მივეცი დავალება შეედგინათ დებულება, შეჯიბრის აფიშა. დავალებებს ვუნაწილებდი მათი ინტერესის გათვალისწინებით. მოვიწვიეთ მეგობარი სკოლის მოსწავლეები ამხანაგური შეჯიბრის ჩასატარებლად ფრენბურთში და ფეხბურთში. სასწავლო წლის დამთავრების შემდეგ დაგეგმილი გვაქვს ლაშქრობა, ხაიში-მარაბდის მარშრუტით.

სიღრმისეული ინტერვიუ დაგეგმე და განვახორციელე ჩემს კოლეგებთან. მომზადებული მქონდა კითხვარი, რომელსაც ვაწარმოებდი პირდაპირი გამოკითხვით. ძალიან დამეხმარა მათი გამოცდილება კვლევის მიმდინარეობისას.

რეკომენდაციები

შევიმუშავე რეკომენდაციები, საგაკვეთილო პროცესში საშუალო საფეხურის მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხის გასაუმჯობესებლად:

1. სწავლების პროცესში მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინება, აქტივობების მორგება მათ ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე, რაც გაზრდის მოსწავლეთა მოტივაციას და ჩართულობას.
2. სასურველია, მოიხსნას შეზღუდვა 17-18 წწ ასაკის მოსწავლეებისთვის და დაიშვან შეჯიბრებებზე; მოსწავლეები კარგავენ ინტერესს მაღალ კლასებში გადასვლის შემდეგ, რადგან მათთვის მონაწილეობის მიღება შეზღუდულია.
4. სასურველია მოეწყოს ინფრასტრუქტურა და დარბაზები აღიჭურვოს ინვენტარით.
5. გამდიდროთ სასწავლო პროცესი. ამის გაკეთება შესაძლებელია დამატებითი, კლასგარეშე აქტივობებით, მრავალფეროვანი სასწავლო მასალით, სწავლების ახალი მეთოდებითა და სტრატეგიებით. ამგვარად სასწავლო პროცესი მოსწავლისთვის უფრო სახალისო და საინტერესო გახდება.

6. არასოდეს გააკრიტიკოთ მოსწავლე საჯაროდ. საჯარო კრიტიკა ვნებს მოზარდის თვითშეფასებასა და მოტივაციას. გარდა ამისა, ამგვარი მიდგომა მოსწავლეს თქვენს ნდობასა და პატივისცემას დაუკარგავს.
7. აუცილებელია (რეგიონებში, სოფლებში) პერსპექტიული ახალგაზრდების შერჩევა წამყვანი გუნდების რეზერვებისთვის.

კოლეგებისთვის გაზიარება

ჩემი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის შედეგების პრეზენტაცია გავაკეთე კათედრაზე. გავუზიარე კოლეგებს საკუთარი გამოცდილება. იმედი მაქვს, პრაქტიკული კვლევის შედეგად მიღებული ჩემი გამოცდილება და ასევე რეკომენდაციები დაეხმარება კოლეგებს სასწავლო პროცესის შედეგების გაუმჯობესებაში. კოლეგების მხრიდან მივიღე დადებითი უკუკავშირი.

პრაქტიკული კვლევის დასრულებისთანავე ჩემს კოლეგებს გავაცანი კვლევის ანგარიში, შევუთანხმდი კოლეგებს და დავგეგმე კვლევის პრეზენტაცია. პრეზენტაციის შემდგომ კოლეგებმა გამიზიარეს შთაბეჭდილებები წერილობით.

კოლეგების უკუკავშირი

“გავცანი ე.ქიტუაშვილის პედაგოგიური კვლევის ანგარიშს. ჩემი აზრით, საკვლევი პრობლემა საყურადღებოა, რადგან მსგავსი პრობლემა შეიმჩნევა არა მარტო ჩვენი სკოლის საშუალო საფეხურის მოსწავლეებში, არამედ სხვა სკოლის მოსწავლეებშიც. მოსწავლეთა ჩართულობის გაზრდისთვის კვლევაში მოცემულ რეკომენდაციებს გავითვალისწინებ ჩემს პედაგოგიურ პრაქტიკაში.“

„მომეწონა მოსწავლეთა მიერ ჩატარებული საქველმოქმედო კონცერტი, რომელიც დაეხმარა ჩვენი სკოლის ფეხბურთის გუნდს. ასეთი სახის ქველმოქმედება კარგი იქნება სხვა საჭიროებების გადასაწყვეტად“.

“გავცანი კვლევას მოსწავლეთა ჩართულობის და მოტივაციის დაქვეითების მიზეზების შესახებ. კვლევის მიგნებები საგულისხმო და გასათვალისწინებელია. მოსწავლეთა ჩართულობის მიზნით აუცილებლად გავითვალისწინებ

რეკომენდაციებს, შევარჩევ შესაფერის აქტივობებს მოსწავლეთა ინტერესის გასაღვივებლად და ჩართულობის ასამაღლებლად.“

“საკვლევი საკითხი სწორად არის იდენტიფიცირებული. მოსწავლეთა ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში ერთ-ერთი წარმმართველი ძალაა სწავლების პროცესში. მასწავლებლებმა პირველ რიგში უნდა გამოვკვეთოთ პრობლემის მიზეზები, შემდეგ ვეცადოთ მოსწავლეების ინტერესები გავითვალისწინოთ აქტივობების დაგეგმვისას, რაც ვფიქრობ დადებით შედეგს მოგვცემს. აუცილებლად გავითვალისწინებ რჩევებს და რეკომენდაციებს“.

დასკვნა

ჩემი კვლევის მიზანი იყო დამედგინა, რომელი მეთოდები და სტრატეგიები დაეხმარებოდა ჩემს მოსწავლეებს საშუალო საფეხურზე შეენარჩუნებინათ ის მოტივაცია და ჩართულობა რაც ჰქონდათ წლების განმავლობაში, რომლებიც დიდ წარმატებებს აღწევდნენ მუნიციპალურ და რეგიონალურ პირველობებზე.

პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის საფუძველზე (კვლევა მოიცავდა პრობლემების გამომწვევი მიზეზების დადგენას, შესაბამისი ინტერვენციების შემუშავებას და განხორციელებას), შემიძლია დავასკვნა, რომ საშუალო საფეხურის მოსწავლეების მოტივაციის დაქვეითების ერთ-ერთი მიზეზი სასკოლო სპორტულ შეჯიბრებებში შეზღუდვას ასაკობრივი თვალსაზრისით და მოსწავლეები, რომელნიც აქტიურად მონაწილეობენ საბაზო საფეხურზე სპორტულ ღონისძიებებში, ასაკის მომატებასთან ერთად ეზღუდებათ მონაწილეობის მიღება.

იმისათვის, რომ მოზარდები სწავლების ზედა საფეხურებზე იყვნენ მოტივირებულები, წარმატებებს აღწევდნენ და საკუთარი თავის რეალიზებას მაქსიმალურად ახერხებდნენ, აუცილებელი პირობაა შეჯიბრებებზე ასაკობრივი შეზღუდვის მოხსნა, რაც ჩვენს ძალებს აღემატება.

17-18 წლის ასაკში მოზარდები, რომლების ვარჯიშობენ მთელი ბავშვობა და აქტიურად მონაწილეობენ შეჯიბრებებში, ხვდებიან გაურკვეველ სიტუაციაში და უწევთ ინტერესების გადართვა სხვა მიმართულებით, აქედან იწყება მათი დაბრკოლებებთან შეჯახება და შეიძლება უმოქმედობამ მავნე ჩვევამდეც მიიყვანოს მოზარდები. მათთვის მხოლოდ კლასებს შორის შეჯიბრებები უკვე ძალიან იოლი გადასალახია, ამიტომ კარგავენ ინტერესს, რადგან ბავშვობიდან როცა არჩეული აქვთ სპორტული გზა, 11-12 კლასში უწევთ სხვა პროფესიაზე ფიქრი, რადგან სპორტული კარიერა აქ წყდება, სხვაგან (ქალაქში) ვარჯიშის საშუალება კი არა აქვთ.

გამოვლენილი პრობლემების აღმოსაფხვრელად, გატარებული ინტერვენციების შეფასებისას გამოვლინდა, რომ უმეტესობა იყო შედეგიანი. დაგეგმილი ინტერვენციებიდან განსახორციელებელი დაგვრჩა ლაშქრობა: ხაიში-მარაბდის მარშრუტით, რომელსაც სასწავლო წლის დასრულების შემდეგ განვახორციელებთ.

როგორც ვვარაუდობდი და კვლევიტაც დადასტურდა, მოსწავლეები ისევ მისდევენ ჯანსაღი ცხოვრების წესს, სკოლაში არცერთი მოსწავლეს არ აქვს მავნე ჩვევა (თამბაქო, სასმელი და სხვა), რაშიც დიდი წვლილი მეც მიმიძღვის, რადგან ამ ბავშვებს დაწყებითი კლასებიდან მოვყვები და ჩემი დიდი ძალისხმევით ყველა აქტიურად არის ჩართული სპორტულ ღონისძიებებში და კარგად იციან

ჯანმრთელობის ფასი. მხოლოდ ჩემი გულისტკივილი იყო ის, რომ მაღალ კლასებში გადასვლის შემდეგ არ ჰყოფნით დრო ჩაერთვნენ სპორტულ ღონისძიებებში. როგორც პირად საუბრებში დადგინდა, ისინი დაკავებული არიან რეპეტიტორებთან, ემზადებიან ეროვნული გამოცდებისთვის, ვერ ხედავენ პერსპექტივას სპორტში, მაგრამ დისკუსიის დროს იმასაც საუბრობდნენ, რომ არ ტარდება არავითარი ასაკობრივი შეჯიბრებები, სადაც შეეძლებოდათ მონაწილეობის მიღება, რაც მოტივაციის გაზრდის ერთ-ერთი პირობაა. მე გადავწყვიტე ჩამეტარებინა ამხანაგური შეჯიბრებები მეგობარ სკოლებთან, ორგანიზება თვითონვე გააკეთეს, მოიწვიეს მარაბდის და წინწყაროს სკოლის მოსწავლეები და ჩავატარეთ ფრენბურთში და ფეხბურთში შეჯიბრებები, მიგვიწვიეს ჩვენც, დაგეგმილი გვაქვს ლაშქრობაზე წასვლა.

ხალისით ჩაიარა საქველმოქმედო კონცერტმა, რომელიც თვითონ მოსწავლეების ორგანიზებით და მონაწილეობით ჩატარდა, სადაც მოწვეულნი იყვნენ სოფლის მოსახლეობა. აქედან დასკვნა გამოვიტანე, რომ ბავშვი არის ცოცხალი ორგანიზმი და ის აქტურია ცოცხალ გარემოში, მას უნდა სისტემატური ღონისძიებები, რომ იყოს მუდმივ ფორმაში, არ უნდა მოდუნდეს მასწავლებელი და არ მოდუნდება ბავშვი.

განათლების სამინისტროს მიერ ინიცირებული პროექტი: „თავისუფალი გაკვეთილები“, ძალიან დამეხმარა საბაზო საფეხურის მოსწავლეების მობილიზებაში და სისტემატურობის პრინციპის დამკვიდრებაში, სადაც მთელი სკოლის მოსწავლეების მოტივაციის გაზრდის საბაზი გახდა, შევიძინეთ რესურსები, მოვაწყვეთ სპორტული ღონისძიებები.

სასურველია, შეჯიბრებების ჩატარების შემდეგ რომ ხდებოდეს პერსპექტიული ახალგაზრდების შერჩევა და ეძლეოდეთ მათ შანსი მოხვდნენ წამყვან გუნდებში. მოზარდები პერიფერიებიდან სკოლის შემდეგ პროფესიულ სპორტში ვეღარ აგრძელებენ მოღვაწეობას და აქ წყდება მათი სპორტული მომავალი, არადა მათგან არანაკლები ჩემპიონები დადგებოდნენ, ეს არის მათი მოტივაციის დაღმასვლის მიზეზი.

კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შევიძუშავე რეკომენდაციები, რომელიც დაგვეხმარება საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა ჩართულობის გაზრდაში. კვლევის შედეგების და თვითონ კვლევის გაზიარება კოლეგებთან, დაეხმარება მათ თვითონაც წარმართონ მსგავსი კვლევები საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის გაუმჯობესებისათვის, ასევე შეიძუშაონ მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნისთვის საჭირო სტრატეგიები.

პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა ახალი ცოდნის მიების საუკეთესო საშუალებაა. იმისათვის, რომ ჩვენი მოსწავლეები სასკოლო სწავლების ზედა საფეხურებზე წარმატებებს აღწევდნენ და საკუთარი თავის რეალიზებას მაქსიმალურად ახერხებდნენ, აუცილებელია მასწავლებლის თავდაუზოგავი

მუშაობა, მოსწავლეებისთვის სწორი მიმართულების მიცემა, მეგობრული და ურთიერთთანამშრომლობითი მუშაობა.

P.S. განათლების სამინისტროსა და ფეხბურთის ფედერაციის ინიციატივით პირველად ტარდება ფეხბურთის ჩემპიონატი: „მოყვარულთა თასი 2019“, სადაც ჩვენი სკოლის საშუალო საფეხურის მოსწავლეები და სკოლის კურსდამთავრებულები იღებენ მონაწილეობას საკმაოდ წარმატებულად. იმედია ასეთ რანგის შეჯიბრებებს სხვა ფედერაციებიც მიბაძავენ და ჩაატარებენ მოყვარულთა ჩემპიონატებს, რომ შეირჩეს პერსპექტიული ახალგაზრდები. სხვანაირად ზოგიერთი სპორტის სახე უბრალოდ გაქრება.

ბიბლიოგრაფია

1. გუგუშვილი ნ. (2016). მოტივაცია, ლექსიკონი-ცნობარი სოციალურ მეცნიერებებში. 23.02.2019 <http://dictionary.css.ge/content/motivation>
2. ინასარიძე მ, ლობჯანიძე ს, რატიანი მ, სამსონია ი. (2016).
მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარების და
კარიერული წინსვლის სქემის გზამკვლევი, ნაწილი II. მასწავლებლის
პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი.
http://tpdc.gov.ge/uploads/pdf_documents/gzamkvlevi%20meore%20nawili.pdf
3. კახურაშვილი ი. (2018). მასწავლებლის რჩევები: როგორ ავამაღლოთ
სწავლის მოტივაცია? <http://mastsavlebeli.ge/?p=18372>
4. კაციტაძე თ, (2013). როგორ ავამაღლოთ სწავლის მოტივაცია, 22.02.2019
5. <https://edu.aris.ge/news/rogor-avamaRloT-swavlis-motivacia.html>
6. კაპანაძე ნ. (2017). ინტერესისა და მოტივაციის აღძვრა-შენარჩუნების
ასპექტები <http://mastsavlebeli.ge/?p=16324>
7. ლობჯანიძე ს. (3 მაისი, 2012). როგორ წარვმართოთ პედაგოგიური კვლევები.
21.12.2018 mastsavlebeli.ge/?p=281
8. მოტივაცია. ეროვნული ბიბლიოთეკა, 23.02.2019
<http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0ekonomik--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-----0-11--11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&cl=CL1.2&d=HASH473087b171f34317cbf26b.4.4>=1>
9. სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი. (2018). სამოქმედო კვლევა.
10. სებისკვერაძე ლ. ცხოვრების ჯანსაღი წესი და სპორტული განათლება ნახვა
22.02.2019 <http://mastsavlebeli.ge/?p=4151>
11. სებისკვერაძე ლ. (2015). როცა მოზარდი სპორტისადმი ინტერესს არ იჩენს,
23.02.2019 <http://mastsavlebeli.ge/?p=17044>
12. სებისკვერაძე ლ. (2018). იძულება – პრობლემა სპორტით ნაკლებად
დაინტერესებული მოზარდებისათვის. 23.02.2019
<http://mastsavlebeli.ge/?p=19427>
13. წულაძე ლ. (2008). რაოდენობრივი კვლევის მეთოდები სოციალურ
მეცნიერებებში. თბილისი: სოციალურ მეცნიერებეთა ცენტრი.
14. ჭყოიძე თ. (2013). რა ფაქტორები უწყობენ ხელს სწავლის მოტივაციის
ამაღლებას , mastsavlebeli.ge

კითხვარი

საშუალო საფეხურის მოსწავლეებისთვის

მოგესალმებით, მე ვატარებ პრაქტიკულ კვლევას მოსწავლეთა სპორტული აქტივობის მოტივაციის შესწავლის მიზნით. თქვენი, როგორც მოსწავლის მონაწილეობა ძალიან მნიშვნელოვანია ჩემი კვლევის წარმატებით განხორციელებაში. თქვენგან მიღებული ინფორმაცია ანონიმურია.

1. სპორტის რომელი სახეობით ხართ დაკავებული? (თუ არ ხართ დაკავებული, უპასუხეთ შემდეგ მე-7 კითხვას)
 - 1.1. ფეხბურთი
 - 1.2. ფრენბურთი
 - 1.3. კალათბურთი
 - 1.4. სხვა
 - 1.5. არცერთი
2. ჩვეულებრივ სად ვარჯიშობთ?
 - 2.1. სახლში
 - 2.2. დამოუკიდებლად სპორტულ მოედანზე
 - 2.3. სატრენაჟორო დარბაზში
 - 2.4. სპორტულ სექციაში
 - 2.5. არსად არ ვვარჯიშობ
3. არ ვარ სპორტულ აქტივობაში ჩაბმული
 - 3.1. არ მაინტერესებს
 - 3.2. არ მაქვს თავისუფალი დრო
 - 3.3. ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო
 - 3.4. სპორტული ბაზებისა და მოედნების საფასურის გამო
 - 3.5. სხვა
4. თქვენი აზრით რა გიშლით ხელს სპორტში ჩაბმისთვის?
 - 4.1. სპორტული სექციების (წრეების) ნაკლებობა
 - 4.2. სპორტული ინფრასტრუქტურის გაუმართაობა
 - 4.3. ცხოვრების ჯანსაღი ცხოვრების შესახებ ინფორმაციის არქონა
 - 4.4. მოტივაციის არქონა (მომავლის უპერსპექტივობა)
 - 4.5. ასაკობრივი (16-18 წწ) შეჯიბრებების სიმცირე
 - 4.6. სხვა
5. თქვენი აზრით, რამ შეიძლება გაზარდოს თქვენი მოტივაცია?

6. რა მიზნით ხართ ჩართული სპორტულ აქტივობაში?
 - 6.1. ჯანსაღი ცხოვრების წესი
 - 6.2. მინდა კარგად გამოვიყურებოდე
 - 6.3. რეაბილიტაცია, ექიმის დანიშნულებით
 - 6.4. მინდა ცნობილი სპორტსმენი გავხდე

გმადლობთ თანამშრომლობისთვის!

დანართი 2

კითხვარი მასწავლებლებისთვის

მოგესალმებით, მე ვატარებ პრაქტიკულ კვლევას მოსწავლეთა სპორტული აქტივობის მოტივაციის მიზნით. თქვენი, როგორც მასწავლებლის მონაწილეობა ძალიან მნიშვნელოვანია ჩემი კვლევის წარმატებით განხორციელებაში. თქვენგან მიღებული ინფორმაცია ანონიმურია.

1. თქვენი დაკვირვებით როდის არიან მოსწავლეები მობილიზებული?
 - 2.1. სპორტის გაკვეთილის წინ
 - 2.2. სპორტის გაკვეთილის შემდეგ

2. თქვენი აზრით, მოსწავლისთვის აუცილებელია გარეგანი მოტივაცია?
 - 2.1. დიახ
 - 2.2. არა
 - 2.3. საკმარისია შინაგანი მოტივაცია

3. რა უშლის ხელს მოსწავლეს ივარჯიშოს სპორტის რომელიმე სახეში?
 - 3.1. დრო
 - 3.2. ოჯახი
 - 3.3. ფინანსები
 - 3.4. სხვა

4. თქვენი აზრით, რა არის მიზეზი მოსწავლეების სპორტულ აქტივობაში ნაკლებად ჩართულობის?
 - 4.1. გადაღლილობა
 - 4.2. თავისუფალი დროის დეფიციტი
 - 4.3. მშობლების წინააღმდეგობა
 - 4.4. გარდატეხის ასაკი
 - 4.5. ინტერნეტთამაშები

5. თქვენი აზრით, რა შეუწყობს ხელს მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდას?
 - 5.1. თავისუფალი დრო
 - 5.2. რესურსების და ინვენტარის მრავალფეროვნება
 - 5.3. ხშირი სპორტული შეჯიბრებები
 - 5.4. სპორტული წრეების ფუნქციონირება

გმადლობთ თანამშრომლობისთვის!

კითხვარი მშობლებისთვის

მოგესალმებით, მე ვატარებ პრაქტიკულ კვლევას მოსწავლეთა სპორტული აქტივობისმოტივაციის მიზნით. თქვენი, როგორც მშობლის მონაწილეობა ძალიან მნიშვნელოვანია ჩემი კვლევის წარმატებით განხორციელებაში.თქვენგან მიღებული ინფორმაცია ანონიმურია.

1. რამდენად ხართ დაინტერესებული შვილების სპორტული აღზრდით?

- 1.1. ჯანმრთელობისთვის;
- 1.2. კარიერისთვის;
- 1.3. სხვა

2. რა უნდა გაკეთდეს მოზარდის სპორტში ჩართვისთვის და მოტივაციის გაზრდისთვის?

- 2.1. ხელმისაწვდომი უნდა გახდეს სპორტული სექციები;
- 2.2. გარეგანი მოტივაციისა და წახალისების გამოყენება;
- 2.3. სპორტული მოედნებისა და დარბაზების აღჭურვა სათანადო ინვენტარით;
- 2.4. ასაკობრივი სპორტული შეჯიბრებები;
- 2.5. არაფორმალური განათლების განვითარება;
- 2.6. მიჭირს პასუხის გაცემა;

3. სად ატარებთ თავისუფალ დროს თქვენი შვილი?

- 3.1. სახლში ტელევიზორთან/კომპიუტერთან;
- 3.2. სპორტით არის დაკავებული;
- 3.3. დადის წრეზე;
- 3.4. კითხულობს;

4. მოტივაციის გაზრდისთვის ხელისშემწყობი ფაქტორებია (ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი)

გმადლობთ თანამშრომლობისთვის!

რეფლექსია

ჩემი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა დაიწყო 2018 წლის ოქტომბრიდან და დავამთავრე 2019 წლის მაისში. თემად შევარჩიე ისეთი პრობლემა, რაც წლებია მაწუხებდა: **საშუალო საფეხურის მოსწავლეთა დაბალი მოტივაცია სპორტში**, რადგან დაწყებით და საბაზო საფეხურზე იგივე მოსწავლეები აქტიურად იყვნენ ჩართული საგაკვეთილო პროცესში და სპორტულ ღონისძიებებში, სადაც ყოველთვის გამორჩეული შედეგები ჰქონდათ, როგორც გუნდურ, ისე ინდივიდუალურ შეჯიბრებებში.

დავისახე კვლევის მიზანი, ჩამოვყალიბე მთავარი კითხვა, შევხვდი და ვესაუბრე მშობლებს, მოვამზადე და შევაფასე შესაძლო ინტერვენციები, რეკომენდაციები, რომლებსაც ვიყენებთ საკუთარ პრაქტიკაში, ასევე მოვახდინე კოლეგებთან მისი გაზიარება. კითხვარები დამეხმარა კვლევის მიგნებების და რეკომენდაციების შემუშავებაში.

გავეცანი, როგორც სამეცნიერო პედაგოგიურ ასევე ფსიქოლოგიურ მასალებს მოტივაციასა და თვითშეფასებასთან დაკავშირებით, რათა მოსწავლეებისთვის მიმეწოდებინა ინფორმაცია თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მაღალ თვითშეფასებას ადამიანის პიროვნულ ჩამოყალიბებაში და მის შემდგომ წარმატებაში.

კვლევის მიგნებებიდან გამომდინარე ახლა უფრო მეტ ყურადღებას ვუთმობ, რომ გაკვეთილი დატვირთული იყოს სახალისო აქტივობებით, არ იყოს ერთფეროვანი და მოსაწყენი. კლასში ვქმნი პოზიტიურ გარემოს, რათა მოსწავლეებმა თამამად და თავისუფლად გამოხატონ საკუთარი აზრი, არ ქონდეთ შეცდომის შიში, უფრო ხშირად ვიყენებ განმავითარებელ შეფასებას, რაც მოსწავლეებს სუსტი მხარეების დამლევის საშუალებას აძლევს.

პედაგოგიურმა კვლევამ დადებითი შედეგი გამოიღო. შეინიშნება ფოკუს ჯგუფის მოსწავლეთა გააქტიურება საგაკვეთილო პროცესში. ისინი მეტი ხალისით ერთვებიან სხვადასხვა აქტივობებში,

კვლევის მიგნებებს და რეკომენდაციებს გამოვიყენებთ აგრეთვე სხვა კლასებშიც, რაც მოსწავლეებს დაეხმარება წამატების მიღწევაში, ხოლო ჩემი პედაგოგიური საქმიანობა იქნება უფრო შედეგიანი. შემდეგისთვის საშუალო საფეხურის მოსწავლეების მოტივაციის გაზრდისთვის დავგეგმავ უფრო მეტ სპორტულ ღონისძიებებს, ლაშქრობებს და გასვლით ღონისძიებებს, რათა გაიზარდოს მათი ჩართულობა და მოტივაცია. რაც კვლევითაც დადასტურდა, რომ საუკეთესო მიდგომაა მოზარდებთან მიმართებაში.

მადლობა განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, რომ ტარდება სპორტული შეჯიბრებები და ამით ახალგაზრდების სპორტში ჩართვას უწყობს ხელს.